პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კონსტანტინე ლეთოდიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კონსტანტინე ლეთოდიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ფარიხან სოფლების III შესახვევი
მეფე ლუარსაბ I-ის ქუჩა
ფარიხან სოფლების ქუჩა
37-ე ქუჩა
38-ე ქუჩა
მარნეულის გზატკეცილი
1 : 20

19/03253251822-03

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ზემო ფონიჭალის კერძო დასახლების მაცხოვრებლის
თამარ სილაგაძის(პ/ნ 10001055789)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ზემო ფონიჭალაში, ქუჩას რომელზეც ჩემი საცხოვრებელი სახლია (საკადასტრო კოდი 81.03.12.423) არ აქვს სახელწოდება მინიჭებული.

გთხოვთ, აღნიშნულ ქუჩას მიანიჭოთ სახელწოდება.

თამარ სილაგაძე /

ტელ: 595 23 01 10

21.11.2025

აფხაზეთის მეომართა კავშირი
The Union of Warriors of Abkhazia

0102, საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24; ტ.: +995 854248 E-mail: contact@amk.ge
0102, Georgia, Tbilisi, D. Agmashenebeli av. 89/24; Phone: +995 854248 E-mail: contact@amk.ge

№ 01/20

05 12 2025 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

აფხაზეთის მეომართა კავშირი მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისის ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული, საქართველოს ეროვნული გმირის გენო ადამიას თანამებრძოლების — კონსტანტინე ლეთოდიანის და ზურაბ ჩიქოვანის სახელები.

აღნიშნული პიროვნებები საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. კონსტანტინე ლეთოდიანი და ზურაბ ჩიქოვანი გმირულად დაიღუპნენ გენერალ გენო ადამიას გვერდით, ბრძოლის ველზე, რაც მათ ღვაწლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ისინი წარმოადგენენ ღირსების, თავდადებისა და მოქალაქეობრივი სიმამაცის გამორჩეულ მაგალითს. მათი სახელების უკვდავყოფა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება როგორც ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების, ისე მომავალი თაობებისთვის გმირობისა და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების თვალსაზრისით.

ვინაიდან თბილისში არაერთი ქუჩაა, რომლის სახელდებაზე შესაძლებელია შესაბამისი განხილვის დაწყება, გთხოვთ, თბილისის საკრებულოში დაიწყოთ პროცედურები **კონსტანტინე ლეთოდიანისა** და **ზურაბ ჩიქოვანის** სახელების მინიჭების საკითხის შესწავლისა და მხარდაჭერის მიზნით.

წინასწარ გიხდით მადლობას ყურადღებისა და თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ა. მარგიანი

აფხაზეთის მეომართა კავშირის თავმჯდომარე

ლ. ქეცბაია

აფხაზეთის მეომართა კავშირის
მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032534518**
თარიღი: **11/12/2025**

ადრესატი: ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახური

სამსახურის დირექტორს
ბატონ კობა კობალაძეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს აფხაზეთის მეომართა კავშირის 2025 წლის 8 დეკემბრის საქმეს N10/032534238-03, რომლითაც ითხოვენ თბილისის ქუჩებისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული კონსტანტინე ლეთოდიანისა და ზურაბ ჩიქოვანის სახელის მინიჭებას.

მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ კონსტანტინე ლეთოდიანისა და ზურაბ ჩიქოვანის საბრძოლო მოკვლევა, ჯილდოების მინიჭების დოკუმენტი და ასევე დააფიქსიროთ თქვენი სამსახურის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენისა და დადებითი პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში, კომისია მზად არის იმსჯელოს აფხაზეთის მეომართა კავშირის მიერ მოთხოვნილ საკითხზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00042144

16/12/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მიმდინარე წლის 11 დეკემბერს შემოსული №41671 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება კონსტანტინე ლეთოდიანისა და ზურაბ ჩიქოვანის სახელის მინიჭებას ქ. თბილისის ქუჩებისათვის, გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაცულია დოკუმენტაცია კონსტანტინე გრიგოლის ძე ლეთოდიანის შესახებ, რომელიც გმირულად დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს საომარი მოქმედებების დროს. იგი დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით და მიღებული აქვს მედალი „მხედრული მამაცობისთვის".

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ზურაბ ჩიქოვანის თაობაზე ინფორმაცია არ იძებნება. გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციას ვალერი გიორგის ძე ჩიქოვანის შესახებ, რომელიც გმირულად დაიღუპა საომარი მოქმედებების დროს 1993 წლის 27 სექტემბერს და დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

გიგზავნით ზემოხსენებულ დოკუმენტაციას და აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ემხრობა ინიციატივას კონსტანტინე გრიგოლის ძე ლეთოდიანისა და ვალერი გიორგის ძე ჩიქოვანის სახელების ქ. თბილისის ქუჩებისთვის მინიჭების შესახებ.

დანართი: 18 (თვრამეტი) ფურცელი

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე

ამონაწერი:

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მეთაურის

ბრძანება № 83

18 დეკემბერი 1992 წელი — ქ. სოხუმი

23-ე მექანიზირებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულის პირადი შემადგენლობის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ

ბ ა ი ნ ი შ ნ ო ნ : I (პირველი) ნოემბრიდან

8. ლეთოდიანი კოტე გრიგორის ძე — ათეულის მეთაურად.

ბრიგადის მეთაური
პოლკოვნიკი — გ. ადამია

ამონაწერი სწორია
პოლკოვნიკი — გ.ბიგაური

23-ე ბრიგადა
წიგნი №: 1
ბრძანება № 83
გვ. 109

კაპიტანი ლ. გალეგაშვილი

დაბეჭდა: ნ. ვოგეგაშვილია

ᲐᲑᲮᲐᲖᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ
СОЮЗ ВОИНОВ АБХАЗИИ
UNION OF SOLDIERS OF ABKHAZIA
27.12.2004
N 875
-249251492-

ხაბრძოლო მოკვლენა

ლეონიდასი კოტე ვრიგორის ძე
დაბ: 1973 წ-ს 5 თებერვალი, ქ.თბილისი,
განათლება უმაღლესი, უცოლო-შვილი,
მცხ: ქ. ხობში, ნაბიჯას №104.

ხვეს ქვემო ხელის მომწერნი ეთვ. 23-ე ბრ. ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის მეთაური, თადარიგის კაპიტანი რ. ხარია, . 23-ე ბრ. ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის მეთაურის მოადგილე ხერგის . დარგში, თადარიგის ს/რიგითი გ. მალანია, . 23-ე ბრ. ტანკსაწინააღმდეგო . დივიზიონის ბატარეის მეთაურის მოადგილე, თადარიგის ს/რიგითი ა. ცხვიტაია ვადასტურებთ, რომ აფხაზეთში მიმდინარე ხანმარი მოქმედებების დროს, ლეონიდასი კოტე ვრიგორის ძე ნარიცხული იყო 23-ე ბრ. საკომენდანტო ასეულში თანმეთაურად, 1992 წლის 16 დეკემბრიდან (ბრ. №83 16.12.92 წ.) იმყოფებოდა ბატალიონის კმაყოფაზე.

ის მოსაწილეობას ღებულობდა ყველა ხაბრძოლო ოპერაციებში, მეთაურთა ბრძანებებს ასრულებდა პირნათლად.

1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზ ბოევიკებთან შეტაკებისას ლეონიდასი კოტე სასიკვდილოდ დაიჭრა.

გარდაცვალების მოწმობა № 077164.

დაჯილდოებულია medal „მხედრული მამაცობისათვის" - (№00972) და სიკვდილის შემდეგ გ. გორგასლის III ხარისხის ორდენით (№292).

ეთვ. 23-ე ბრ. ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის
მეთაური, თადარიგის კაპიტანი — რ. ხარია

23-ე ბრ. ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის
მეთაურის მოადგილე ხერგის დარგში,
თადარიგის ს/რიგითი — გ. მალანია

23-ე ბრ. ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის
ბატარეის მეთაურის მოადგილე,
თადარიგის ს/რიგითი — ა. ცხვიტაია

ხელმოწერას ვადასტურებ:
აფხაზეთის მეომართა კავშირის
თავმჯდომარე — თ. ბენდელიანი

გვიარა ჩვეულებრივი 17.07.2001 წ.
ვ. ჩკვ

ფორმა №7
დამტკიცებულია იუსტიციის
სამინისტროს მიერ

გარდაცვალების მოწმობა

მოქალაქე ქოცა გიორგის ძე ლევანი
სახელი, მამის სახელი, გვარი

გარდაიცვალა 1993 წლის 27.IX ფოთის ქალაქში
წელი, რიცხვი, თვე ციფრებით და სიტყვიერად

ოცდაორი ათასი წლის ოცდა ექვსი სექტემბრის
22 წლის ასაკში, რაც გარდაცვალების აქტების სარეგისტრაციო წიგნში

აღნუსხულია 1998 წლის "11" მაისი № 36 ჩანაწერით

გარდაცვალების მიზეზი: ლიტიუმი ავნებს ნეიროვანი
ქსოვილების ტოქსი

გარდაცვალების ადგილი:

ქალაქი / სოფელი სოხუმი

რაიონი

რესპუბლიკა აფხაზეთის ა/რ

რეგისტრაციის ადგილი ქ. სოხუმის ქქსო
მმრგ-ის ადგილსამყოფელი

გაცემის თარიღი 1998 წლის "11" მაისი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის
რეგისტრაციის განყოფილების
გამგე (ხელმოწერა) ბ.ა.

მედალი „მხედრული
მამაცობისათვის“



00972

ეკა
(სახელი)

ღვთოდიანი
(გვარი)

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წ. „4“ XII
ბრძანებულებით დაჯილდოვდა

მედლით „მხედრული
მამაცობისათვის“



ეროვნული საქართველოს
დაცვისმინისტრის ეროვნული ბრ
რეგისტრაციო სამსახური
გადამოწმებულია

კონსტანტინე ლემოლდავი

საქართველოს პრეზიდენტის
2002 წლის 13 მარტის

№ 292

განკარგულებით დაჯილდოვდა

ვასტანგ მოროგასლის
III ხარისხის ორდენით

№ 01068

ი. შეკერაულიძე

ვასტანგ მოროგასლის
III ხარისხის ორდენი



მიწოდება № 01083

საქართველოს ხაზინის
ეროვნული ბანკის ან
ნებისმიერი საბანკო
მაგალითი

განმეორებითი

01197011225

საქართველო
გარდაცვალების მოწმობა

N 01197011225

1	სახელი **კონსტანტინე**		
2	გვარი **ლეთოდიანი**		
3	მოქალაქეობა	4	პირადი ნომერი
5	დაბადების თარიღი **5 თებერვალი 1973 წელი**		
6	გარდაცვალების თარიღი **27 სექტემბერი 1993 წელი**		
7	გარდაცვალების ადგილი **საქართველო, სოხუმი**		
8	გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი **11 მაისი 1998 წელი**	9	აქტის ჩანაწერი **N 34**
10	მოწმობის გაცემის თარიღი **21 მარტი 2019 წელი**		
11	მოწმობის გამცემი ორგანო **სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური**		

აღნიშნული მოწმობის ვალიდურობა შეგიძლიათ გადაამოწმოთ სააგენტოს ვებ გვერდზე www.psda.gov.ge

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

საქართველოს სარეგისტრაციო სააგენტოს საჯარო რეესტრი 01

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032602284**
თარიღი: **22/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თამარ სილაგაძის 2025 წლის 21 ნოემბრის საქმე #19/0325325182-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ფონიჭალაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.81.03.12.423).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ფონიჭალაში, სერვიტუტით დატვირთული გზის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი .

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კონსტანტინე ლეთოდიანი

(1973-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი, დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“

დაიბადა 1973 წელს ქ. სოხუმში.

აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს, 1992 წლის სექტემბრიდან ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის საკომენდანტო ასეულში, ბრიგადის მეთაურის პირადი დაცვის უფროსად.

ის მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, მეთაურთა ბრძანებებს ასრულებდ აპირნათლად.

საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა მდინარე გუმისთასა და შრომა-ახალშენის მიმართულებით. ყოველთვის მეთაურის გვერდით იმყოფებოდა, შტაბშიც და საბრძოლო პოზიციებში მონაწილეობის დროსაც.

1993 წლის 27 სექტემბერს, მოწინააღმდეგის „ბოევიკებთან“ შეტაკების დროს, მდინარე კელასურთან, გმირულად დაიღუპა მეთაურთან ერთად.

დასაფლავებულია სოფელ ბაღმარანის სასაფლაოზე.

დაჯიოლდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“ და სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.